ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2418055

ნომერი: AR1374724

თარიღი : 01.02.2016

გაცემის თარიღი : 04.02.2016

გაცნობის თარიღი : 04.02.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჯავახეთი , N 66ა (ნაკვ.14/130) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პაატა კაჭარავა პ/ნ 01030044982
- თბილისი მ.მამარდაშვილის ქ. N 46

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილებაში 3 დეკემბერს საქართველოს მთავრობის #655 დადგენილებით შეტანილი იქნა ცვლილება «მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ» მუხლი 65–მე მუხლის მე-3 და 4 პუნქტებში. აქედან 3 პუნქტის გათვალისწინებით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული, უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობების ასაშენებლად მშენებლობის ნებართვის საჭიროების თაობაზე, რაც გაიცემა II კლასის მშენებლობებისათვის დადგენილი წესით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მიწის ნაკვეთი განვითარდეს სამშენებლოდ გამოყენების კონკრეტული პირობების საფუძველზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით თქვენს მიერ დაგეგმილი შენობის მშენებლობა საჭიროებს მშენებლობის ნებართვის გაცემას, რომელიც გაიცემა სამ სტადიად. ამათგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი წარმოება. მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდეგი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემის შემდგომ, გასავლელი იქნება II (არქიტექტურული პროექტის შეთანხმება) და III (მშენებლობის ნებართვის გაცემა)სტადიები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გაცნობებთ, რომ სამსახური ამ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს აღნიშნული განცხადება და დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა I კლასის კუთხით

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.